499.96
ნ-275

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
ახალი ქართული ენის კათედრა

ხელნაწერის უფლებით

ნინო ანდრიას ასული ბარნოვი

თანხმოვანთა დისტრიბუციისა და ფუძის აგებულების სტრუქტურულ - ტიპოლოგიური ანალიზის პრინციპები

(დაღესტნური ენების მასალაზე)

10.02.07 - ტიპოლოგიური და შედარებითი ენათმეცნიერება

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომის ავტორეფერატი

თბილისი
1998

ნაშრომი შესრულებულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრაზე

საბჭოს ექსპერტი:	ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი **იზაბელა ქობალავა**
ოფიციალური ოპონენტები:	ფილოლოგიის მეცნიერებთა დოქტორი, საქ. მეცნ. აკად. წევრ-კორესპონდენტი **გურამ თოფურია**
	ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი **ზურაბ ჯაფარიძე**
	ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი **ირინე მელიქიშვილი**
წამყვანი ორგანიზაცია:	სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი

დისერტაციის დაცვა შედგება 1998 წლის 28.10. 14 საათზე ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს P 10.02 C№6 სხდომაზე

მისამართი: 380028, თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ., 1
დისერტაციის გაცნობა შეიძლება ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში (მაღლივი კორუსი)

ავტორეფერატი დაიგზავნა 1998 წლის 25, 09.

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **გ. წიბახაშვილი**

- 1651 -

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

ნაშრომის აქტუალობა. მიუხედავად იმისა, რომ იბერიულ-კავკასიურ ენათა დაღესტნური შტოს ენებიდან ხუნძურ-ანდიურ-დიდოური ჯგუფის ენების უმეტესობა საფუძვლიანადაა შესწავლილი, აღნიშნული ჯგუფის ენათა კონსონანტური სისტემების განხილვა სინტაგმატიკური /resp. დისტრიბუციული/ თვალსაზრისით არ წარმოადგენდა სპეციალური კვლევის საგანს. ჩვენი სადისერტაციო ნაშრომი სწორედ ამ ხარვეზის შევსების ცდას წარმოადგენს.

კვლევის მიზანი და ამოცანები. წინამდებარე გამოკვლევაში მიზნად ვისახავთ მოვახდინოთ ხუნძურ-ანდიურ-დიდოური ჯგუფის ენების კონსონანტური სისტემების დისტრიბუციული ანალიზი.

დასახული მიზნის შესაბამისად ნაშრომის ძირითადი ამოცანები ასე წარმოგვიდგება:

- ჩამოვაყალიბოთ აღნიშნულ ენათათვის თანხმოვანთა განაწილების წესები;
- ჩამოვაყალიბოთ თანხმოვანთა განაწილების ზოგადი წესები;
-მიღებული მონაცემები შევადაროთ სხვა ენების შესატყვის სტრუქტურებს ტიპოლოგიური /და ზოგჯერ გენეტიკური/ თვალსაზრისით.

საანალიზო მასალა. ნაშრომის საანალიზო მასალას წარმოადგენს როგორც ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა არსებული ლექსიკონებიდან ამოკრეფილი მასალა, ასევე გაბმული ტექსტებიც.

კვლევის მეთოდები და ანალიზის კერძო ხერხები. თანხმოვანთა კომბინატორიკის კვლევისას საანალიზო ერთეულად სიტყვა გამოვიყენეთ. თანხმოვანთა დისტრიბუციული მიმართებები შესწავლილ იქნა სიტყვის თავკიდურ, ბოლოკიდურ და ინტერვოკალურ პოზიციებში. არაუშუალო მეზობლობაში მყოფი თანხმოვნების დისტრიბუციის კვლევისას საანალიზო ერთეულს CVC და CVCC სტრუქტურის მორფემები წარმოადგენდა. ამ ტიპის მორფემებში კონსონანტთა შეთავსებადობის შესწავლა საშუალებას გვაძლევს ერთმანეთისაგან გავარჩიოთ უშუალო მიმდევრობის თანხმოვნებისათვის